საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 2011 წლის 01 ნოემბერი

გადაწყვეტილება № 6

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ - მასწავლებლებისა და თანამშრომლებისათვის ინგლისური ენის შემსწავლელი ჯგუფების გახსნის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 18-ე მუხლის I პუნქტის, აკადემიური საბჭოს 2011 წლის 24 ოქტომბრის № 79 დადგენილების საფუძველზე, უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების, პროფესორ-მასწავლებელთა მიერ ინგლისურენოვანი ლიტერატურის გაცნობისა და სასწავლო პროცესში გამოყენების, უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მობილობისა და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ - მასწავლებლებისა და თანამშრომლებისათვის გაიხსნას ინგლისური ენის შემსწავლელი ჯგუფები.
2. თითოეულ ჯგუფში მოწვეული სპეციალისტის ანაზღაურება განისაზღვროს 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი **თ. მეიშვილი**